ევროპარლამენტის წარმომადგენელი ხურვალეთს სტუმრობდა

21 სექტემბერი 2017

გორის მუნიციპალიეტის სოფელ ხურვალეთს ევროპარლამენტში მწვანეთა ფრაქციის მრჩეველი იტალიელი პაოლო ბერგამასკი სტუმრობდა. გუბერნატორის მოადგილესთან სიმონ გულედანთან და აპარატის უფროსთან ნათია ანთელავასთან ერთად ის საოკუპაციო გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ ვითარებას გაეცნო. ბერგამასკი მავთულხლართების მიღმა მცხოვრები დავით ვანიშვილის მდგომარეობითაც დაინტერესდა. ევროპარლამენტის წარმომადგენელი ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრა და მათი სოციალური მდგომარეობით დაინტერესდა. გუბერნატრის მოადგილემ, სიმონ გულედანმა პაოლო ბერგამასკის ინფორმაცია მიაწოდა სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების თაობაზე, რომელიც საოკუპაციო გამყოფი ხაზის სოფლებში ხორციელდება.